თანაბარ ბრძოლაში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 23 სექტემბერი.

”ტორპედო” (ქუთაისი) – ”დინამო” (თბილისი) 2:2 (0:0).

”ტორპედო”: გაბელია, კოსტავა, თევზაძე, ბურკაძე, თვალაბეიშვილი, ვასაძე (კიკლიაშვილი), კორღალიძე, კეტაშვილი, მეგრელაძე, გორგილაძე (ვერულაშვილი), ჭიაბრიშვილი.

”დინამო”: კუცია, პაიკიძე, ჩივაძე, უკლება (ცაავა), ჩიქოვანი, მიქაბერიძე, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კოპალეიშვილი, შენგელია (გურული).

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

დუბლიორები 1:5. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ვ. ჟვანიამ (3), მახარაძემ და ჯოხაძემ: მასპინძელთა მხრიდან - ზაალიშვილმა.

სატურნირო თვალსაზრისით ეს მატჩი მაინცდამაინც ვერაფერს წყვეტდა - გათამაშების ცხრილის იმ მონაკვეთში, რომელშიც ”ტორპედო” და ”დინამო” იმყოფებიან, ჩემპიონატის ფინიშზე დიდი გადაადგილებანი მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად ამისა, შეხვედრა სულაც არ ყოფილა სასხვათაშორისო - მასპინძლებმაც და სტუმრებმაც თავიდან ბოლომდე მონდომებით ითამაშეს.

პირველი გოლი ამ მატჩში თუმცა მხოლოდ 56-ე წუთზე გავიდა, გუნდებს მანამდეც ჰქონდათ კარის აღების შესაძლებლობა. მეორე ტაიმის მე-11 წუთზე თვალაბეიშვილმა დააწინაურა მასპინძლები - 1:0. ოცი წუთის შემდეგ კი მეგრელაძე-ბურკაძის კომბინაცია მეორე გოლით დასრულდა - 2:0. მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე თბილისელებმა (ჩივაძე) გაქვითეს ერთი ბურთი, 86-ე წუთზე ჩივაძე-გურულის კომბინაციას ისევ გოლი მოჰყვა - 2:2.

მატჩი ასე დასრულდა, ფრედ, ”დინამომ” ქულა ჩაიწერა, ”ტორპედომ” კი, ვინაიდან ამ მატჩისათვის ფრეების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა, ვერაფერი დაამატა თავის მარაგს.

ბ. ირემაძე.
”ლელო”, 25 სექტემბერი, 1983 წ.